

# ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

## XII თავი

### სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2023 წ.)

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები განმარტებულია ბსუ-ს წესდების (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 1) 66-ე მუხლში, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N2), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებაში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 20) და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს ეთიკის კოდექსში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 7).

**ბსუ-ს წესდების თანახმად ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:**

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- გ) აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- დ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;
- ე) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ვ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;
- ზ) გარდაცვალება.

**ბსუ-ს ეთიკის კოდექსის შესაბამისად, უნივერსიტეტის სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი, შეეფარდება სტუდენტს/მსმენელს შემდეგი ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:**

- ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერული ან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);
- ბ) გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;
- გ) ჩაიდენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებულ მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევას;

დ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავის თვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს).

ე) დაარღვევს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ აკრძალვას, რაც ბსუ-ს შინაგანაწესის ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი“ გათვალისწინებული დისციპლინური საქმისწარმოების/მოკლვევის შედეგად შეფასდება, როგორც მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევა/გადაცდომა.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად:

- ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად იწყება ადმინისტრაციული წარმოება იმ სტუდენტის მიმართ, რომელმაც ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები ოპტიმალურ ვადაში (საბაკალავრო პროგრამაზე - 8 სემესტრი; ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე - 10 სემესტრი; „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან პროგრამაზე - 10 სემესტრი; „მედიცინის“/„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან პროგრამაზე - 12 სემესტრი; სამაგისტრო პროგრამაზე - 4 სემესტრი),
- იმ სტუდენტის მიმართ, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად დარჩენილი აქვს ასათვისებელი 75 კრედიტზე მეტი, უწყდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო თუკი დარჩენილი აქვს ასათვისებელი 75 და ნაკლები კრედიტი, ადმინისტრაციული წარმოების ვადის ამოწურვამდე მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე შეიძლება გაუხანგრძლივდეს სწავლის ვადა ერთი სასწავლო წლის/სემესტრის ვადით (გამონაკლისი/სხვა ვადა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით).
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში (აკრედიტაციის გაუქმება/ვადის გასვლა - მხოლოდ აკრედიტაციის საფუძველზე განხორციელებადი პროგრამების შემთხვევაში ან პროგრამის გაუქმება სხვა საფუძველით) უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს სწავლა გააგრძელოს ბსუ-ს სხვა, ალტერნატიულ პროგრამაზე, ამ სტუდენტის მიერ შესაბამისი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.